

საქართველოს კანონი

“მშენებლობის ნებართვის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. “მშენებლობის ნებართვის შესახებ” საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი I, 2004 წელი, №18, მუხ. 70.) მე-4 მუხლის “მ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფისათვის საჭირო სპეციალური შენობა-ნაგებობა (სამრეწველო, სამეცნიერო-საკონსტრუქტორო, სამხედრო, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების, საბაჟო, სასაზღვრო დანიშნულების და სხვა) შესაბამისი უწყების მოთხოვნის საფუძველზე“;

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის პირველი აგვისტოდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი